ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

17 – 23 აპრილი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

წარუმატებელი ტერორისტული თავდასხმა შანზ-ელიზეზე

საფრანგეთის სასამართლომ ტერორისტულ ორგანიზაცია დაეშთან დაკავშირებული 4 მამაკაცი შანზ-ელიზეზე თავდასხმის დაგეგმვაში დამნაშავედ ცნო. აღნიშნულ პირებს სასჯელის სახით, 5-იდან 15 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

21.03.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია სირიასა და ერაყში

თურქეთის თავდაცვის მინისტრი, ჰულუსი აკარი ავრცელებს ინფორმაციას გასულ კვირას სირიასა და ერაყში ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციების შესახებ, რომლის ფარგლებშიც სპეცსამსახურებმა ტერორისტულ ორგანიზაცია ქურთების მუშათა პარტიასთან დაკავშირებული 18 ტერორისტი დააკავეს.

21.03.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია სტამბულში

არჩევნებისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფარგლებში, თურქეთის პოლიციამ სტამბულში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, ტერორისტული ორგანიზაციების, დაეშის და ალ კაიდას 6 წევრი დააკავა. სამართალდამცავი ორგანოები ინფორმაციას ავრცელებენ, აღნიშნული პირების კავშირის შესახებ სირიასა და ერაყში მოქმედ რადიკალურ ჯგუფებთან.

21.03.2023

ტერორისტული თავდასხმა ბიტოუს სოფელზე

ბურკინა-ფასოს უსაფრთხოების სამსახურების ინფორმაციით, ტოგოსა და განას საზღვრებთან ახლოს, ბიტოუს სოფელში, განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შედეგად სულ მცირე 24 ადამიანი დაიღუპა.

23.03.2023

ტერორისტული თავდასხმა ნარაზე

მალის ხუნტა ინფორმაციას ავრცელებს ნარასთან ტერორისტული თავდასხმის შედეგად სამხედრო წარმომადგენლის, ასიმი გოიტას, გარდაცვალების შესახებ. მალის კონტრტერორისტული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის თანახმად, თავდასხმის შედეგად დაიღუპა 12 ადგილობრივი მაცხოვრებელი.

22.03.2023

სომალის ეროვნული არმიის წარმატება ალ შაბაბის წინააღმდეგ

სომალის ეროვნული არმია ინფორმაციას ავრცელებს ოთხშაბათს ტერორისტული ორგანიზაცია ალ შაბაბის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად, ტერორისტული ორგანიზაციის მებრძოლების, ბუდბუდის სოფლამდე, უკან დახევის შესახებ.

21.03.2023

ტერორისტული თავდასხმა სამბოკოს სოფელზე

ჩრდილოეთ კივუს პროვინციაში, ტერორისტული ორგანიზაცია გაერთიანებული დემოკრატიული ძალების მიერ სამბოკოს სოფელზე თავდასხმის შედეგად გარდაიცვალა 20 ადამიანი. ადგილობრივების განმარტებით, ბოლო დროს ტერორისტულმა ორგანიზაციამ სამბოკოს სოფელზე თავდასხმა გაახშირა.

20.03.2023